პიპო და ხელი

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

კიკო და ხელი

ეს კიკოა.
კიკოს გვერდით ხედავთ კიკოს მეგობარს: ხელს.
„მაგრამ განა ერთი ხელი შეიძლება კარგი მეგობარი იყოს?“ კითხულობს კიკო.
„შენ ამას მალე გაიგებ!“ პასუხობს ხელი.

„გამარრრრჯჯჯობა ხელო! მე მინდა ფრენა,
მაგრამ არა მაქვს ფრთები,“ ამბობს კიკო.

„კარგი კიკო,“ ამბობს ხელი.
„მე ვიქნები შენი თვითმფრინავი.
შეგიძლია დაჯდე თვითმფრინავზე,
მე ახლა მალე გავფრინდები.“

ბუუუუ, გრუხუნებს თვითმფრინავი.

„გამარრრჯჯობა ხელო! ჩემს ფეხებს ცეკვა უნდათ, მაგრამ მუსიკა არ მაქვს,“ ამბობს კიკო.

„კარგი კიკო,“ ამბობს ხელი.
„მე ვიქნები შენი მუსიკოსი. მე მაქვს პიანინო და ვიცი როგორ ავამღერო კლავიშები.“

ლა, ლა, ლა, უკრავს პიანინო.

„გამარრრჯჯობა ხელო! მინდა რაიმე გემრიელი ვჭამო, მაგრამ არ ვიცი რა,“ ამბობს კიკო.



„კარგი კიკო, მე ვიქნები შენი პატარა მცხობელი,“ ამბობს ხელი. „გინდა ვაშლის შოკოლადის ძირტკბილას ან ბანანის ნამცხვარი?“

„მე მინდა ვაშლის შოკოლადის ძირტკბილას ან ბანანის ნამცხვარი!“ ყვირის კიკო.

„ნიამ, ნიამ, ნიამ.“

„გამარრრრჯჯჯობა ხელო! მე დაჭერობანას თამაში მინდა, მაგრამ მარტო ვერ ვითამაშებ!“ ამბობს კიკო.

„კარგი კიკო, მე გეთამაშები,“ ამბობს ხელი.

„შეიძლება თმაზე შეგეხო?“ კითხულობს ხელი.

„კი რასაკვირველია შეიძლება,“ ამბობს კიკო.

„შეიძლება ცხვირზე შეგეხო?“
კითხულობს ხელი.

„კი, შეგიძლია,“ ამბობს კიკო.

„შეიძლება ხელზე შეგეხო?“
კითხულობს ხელი.

„კი, შეგიძლია,“ ამბობს კიკო.

„შეიძლება ქვედა საცვლების შიგნით შეგეხო?“ კითხულობს ხელი.

„არა!“ ყვირის კიკო.

„არ შეგიძლია!“

„ძალიან კარგი კიკო,“ ამბობს ხელი. „არავის აქვს უფლება შეგეხოს ქვედა საცვლების შიგნით. ეს არის ქვედა საცვლების წესი. და თუკი ვინმე შეგეხება, შეატყობინე ამის შესახებ ვინმეს. არ შეინახო ეს საიდუმლოდ.“

„გამარრრჯჯობა ხელო! მინდა ვიმოგზაურო საოცრებათა ქვეყანაში, მაგრამ არ ვიცი იქ როგორ მოვხვდე,“ ამბობს კიკო.

„კარგი კიკო, მე გაჩვენებ გზას,“ ამბობს ხელი. „დაწექი შენს პატარა ლოგინში, დახუჭე თვალები და შენ იქ აღმოჩნდები.“

ზზზზზზზზზზზ, ამბობს კიკო.

ერთი ყოველი ხუთი ბავშვიდან სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ხდება. წინამდებარე სახელმძღვანელო მომზადებულია ევროპის საბჭოს მიერ კამპანიის ფარგლებში „ONE in FIVE“, რომლის მიზანია ბავშვების მიმართ სექსუალური ძალადობის შეჩერება.

ევროპის საბჭოს კამპანია ბავშვების წინააღმდეგ **სექსუალური ძალადობის შესაჩერებლად**

one in **five**
un sur **cinq**

Council of Europe campaign
to stop sexual violence
against children

www.coe.int/oneinfive

© Council of Europe, 2011 English publication; © Council of Europe, 2018 Georgian version
All rights reserved

კონცეფციის ავტორი: გრეი ამსტერდამი
ბეჭდვა: სარეკლამო კომპანია „რგოლი“
ილუსტრაციები: პუნგა
მადლობას ვუხდით რიკი შრეევერს და მანონ სიკელს.

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE

ეს წიგნი ბავშვებს ქვედა საცვლების წესს განუმარტავს. თქვენ შეგიძლიათ ეს წიგნი თქვენს ბავშვებს წაუკითხოთ, რათა მათ ერთმანეთისაგან განასხვავონ მისაღები და მიუღებელი შეხების ფორმები. თუ ამ თემაზე მეტის გაგება გსურთ, იხილეთ: www.underwearrule.org

ასწავლეთ თქვენს ბავშვებს ქვედა საცვლების წესი
www.underwearrule.org